საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეგრელი დუტუ

დ. მეგრელი

მეგრელი დუტუ (დიმიტრი თომას ძე ხოშტარიას ფსევდ.) (26. X. 1867, სოფ. სუჯუნა, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 13. III . 1938, თბილისი), მწერალი. ა. ერისთავ-ხოშტარიას მეუღლე. 1893 დაამთავრა ოდესის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. იყო ქართ. ლიტ-რის კლასიკოსთა ჰუმანიტარულ-რეალისტური ტრადიციების მიმდევარი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1886, მოთხრობების პირველი კრებული – 1892, ლექსებისა („ცრემლები“) – 1893. მისი ლირიკა ძირითადად პატრ. ხასიათისაა. ლექსებისა და მოთხრობების გარდა ეკუთვნის პოემები, იგავ-არაკები, პუბლიც. წერილები, რუს. და ევრ. კლასიკოსთა თარგმანები. მისი პოპულარული ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ“ (1902) და მოთხრობა „ქინაქინა“ შესულია ი. გოგებაშვილის „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თხზულებანი, თბ., 1948; ლექსები, პოემები, თბ.,1981.

ლიტ.: ვ ა რ თ ა გ ა ვ ა ი., კრიტიკული წერილები, [ტ.] 1, თბ., 1958; მ ი ს ი ვ ე , ქართველი მწერლების სილუეტები, [ტ.] 1, თბ., 1956; ლ ო მ თ ა ძ ე ნ., დუტუ მეგრელი, ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 2005.

ს. ყუბანეიშვილი.